

დაწყვილებული წევრ-კავშირები შიდაქართულში

PAIRED MEMBER-CONJUNCTIONS IN INNER KARTLIAN SUB-DIALECT

მარიამ კობერიძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გორი, საქართველო

Mariam koberidze

Gori State University
Gori, Georgia

ABSTRACT

The analysis of the syntactic function of paired member-conjunctions presented in the article is based on the dialectal texts recorded and published in Shida Kartli at different times and on chronological comparison of the latest materials obtained by us during our village-to-village visits.

In Shida Kartlian sub-dialect the complex subordinate clauses employ both subordinating conjunctions, and relative pronouns (“vints” (who, anyone who; whoever), “rats” (what, that which), “romelits” (which, who), “rogorits” (like) and relative adverbs (“sadats” (where, in/at which), “rotsa”, “rodesats” (when, as), “rogorts” (as) that perform the function of member-conjunctions.

The paired member-conjunctions are observed in Shida Kartlian sub-dialect: “vints rom”//“vints roma”//“vints ro” (who that); “rats rom”// “rats roma”// “rats ro” (what that); “romelits rom” // “romelits roma”// “romelits ro” (which that), “rogorits rom”//“rogorits roma”//“rogorits ro” (like that); “sadats rom”//“sadats roma”//“sadats ro” (where that); “rotsa rom”// “rotsa roma”//, “rotsa ro” (when that); “rodesats rom” // “rodesats roma” //“rodesats ro” (when that); “rogorts rom” // rogorts roma” // rogorts ro” (as that). In these complex conjunctions, “that” (rom) has the function of the particle “even”. “That” (rom) strengthens the meaning of the word to which it refers.

Today, the coupling of the conjunction “rom”//“roma”//“ro” (that) with relative pronouns and relative adverbs reflects a far-advanced process, compared to the published materials. Migration and analogy serve as contributing factors. This phenomenon can be explained by the fact that the conjunction “rom” (that) is characterized by a polysemantic function. It occurs in almost all types of subordinate clauses.

By using paired member-conjunctions, the actualization occurs, the emphasis is put on a speaker, and the emotional attitude is expressed towards the very member of the main sentence to which the paired member-conjunction refers.

Shida Kartlian sub-dialect manifests those common linguistic trends that are characteristic of the Georgian literary language and dialects.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ქართლური დიალექტი, სინტაქსი, დაწყვილებული წევრ-კავშირები.

Keywords: Georgian Language, Kartlian dialect, Syntax, coupled member-conjunctions.

რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც მწიგნობრულ, ისე ცოცხალ, სასაუბრო მეტყველებაში. უკავშირო და კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადებების ისტორიულ დინამიკაზე თვალის მიდევნება კარგად ხერხდება ქართული ენის დიალექტების მონაცემთა გათვალისწინებით. ქართულში შეინიშნება ზოგი თავისებურება დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირისა და მთავარ წინადადებაში მისი კორელატი ნაცვალსახელისა თუ ზმნისართის ხმარებაში (სომხიშვილი 1999: 177-145; კობერიძე 2011: 137-145).

სტატიაში წარმოდგენილი დაწყვილებული წევრ-კავშირების სინტაქსური ფუნქციის ანალიზი ემყარება შიდა ქართლში სხვადასხვა დროს ჩაწერილ და გამოქვეყნებულ დიალექტურ ტექსტებსა და ჩვენ მიერ სოფელ-სოფელ მოპოვებული უახლესი მასალების ქრონოლოგიურ შედარებას.

შიდაქართლურ კილოკავში ყურადღებას იქცევს რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი მთავარი და დამოკიდებული წინადადების შესაერთებლად გამოყენებული დაწყვილებული წევრ-კავშირები: **ვინც რომ // ვინც რომა // ვინც რო; რაც რომ // რაც რომა // რაც რო; რომელიც რომ // რომელიც რომა // რომელიც რო; როგორიც რომ // როგორიც რომა // როგორიც რო; რამდენიც რომ // რამდენიც რომა; სადაც რომ // სადაც რომა // სადაც რო; როცა რო // როცა რომა // როცა რო; როდესაც რო // როდესაც რომა // როდესაც რო; როგორც რომ // როგორც რომა // როგორც რო...**

შ. ძიძიგურის დაკვირვებით, „ვინ (ცა)“ წევრ-კავშირის განსაზღვრების ფუნქციით გამოყენება დამახასიათებელია საშუალო და ახალი სალიტერატურო ენისათვის, სადაც ნაწილაკიანი (ვინცა) და უნაწილაკო (ვინ) ფორმები ერთმანეთის გვერდით თანაარსებობენ. იგი ცვლიდა რომელიცა-ს და იშვიათად იხმარებოდა: მან უამბო დავარ ქაჯსა, **ვინ** გრძნებთაცაცა იცის (რუსთ. 575,4); ვიტყვი მას მზესა, **ვინ** განუწესა ღმერთსა ღვთისაებრ შეყვარებულად (თამარიანი XII, 37); ქვე დაუყრია მოყმები, **ვინც** უფრო გულოვანია (რუსთ. 124, 3); არსნი მზედ გკმობენ, შვიდნი გამკობენ, **ვინცა** შეგცოდა თავის საქნარი? (თამარიანი 11,14)... (ძიძიგური 1969: 259-260).

მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა შემოქმედებაში **ვინც // ვინცა** წევრ-კავშირის გამოყენებასთან დაკავშირებით გარკვეული კანონზომიერებაც არსებობდა; ის მაშინ იხმარებოდა, როცა მისამართი სიტყვა განზოგადებული შინაარსის მატარებელი იყო, ანდა განუსაზღვრელობის სემანტიკას ამჟღავნებდა: დიდმა, პატარამ, **ვინც** კი ოჯახში იყო, თავი მოიყარა (აკაკი); განგვმორდნენ გულის ნაცნობნი, **ვინცა** გულითა გვიყვარდნენ (გრ. ორბელიანი) (იქვე: 260).

ვინც // ვინცა წევრ-კავშირის ფუნქცია თანდათან გაფართოვდა. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ის აერთიანებს მთავარ წინადადებასთან სხვადასხვა სახის დამოკიდებულ წინადადებასაც. ქვემდებარული: **ვინც** ეგრე იქცევა, ის აკლებს ქვეყანას ლაზათს და ლაზათის მიმცემს სიცოცხლეს (ყაზ., 2, 247). დამატებითი: **ვინც** ჩამოგვრჩა, დაგვიხოცეს (ბარნ., 1, 127); სიცოცხლე და გახარება მას, **ვინც** ამ განსაცდელის დროს გულს სიხარული და იმედი მოგვფინა! (ქიაჩ., 3, 425). განსაზღვრებითი:

თავიანთ ლექსებში ამაგებენ იმ პოეტებს, **ვინც** სიყვარულის, მთვარისა და ბუღბუღლის ქებას კიდევ ზედავდნენ (გამს., 1,103) (კვაჭაძე 1988: 365-366).

ვინც წევრ-კავშირი გამოიყენება ქართული ენის დიალექტებშიც. ქვემდებარული: **ვინცა** გვნახავს, ამას გვეტყვის (ქართლ); მომატყულია, **ვისაც** ვენდობოდი (კახ.); **ვინც** იმას ხმას ამოაღებინებდა, იმას უნდა მიხელოლოდა (მესხ.); **ვინც** გაიხიზნაუ ციხეშიც, შევიდენაუ (თუშ.) (მიდიგური 1970: 72); ახლა რო გაიგეს, **ვინცა** ნასალდათარ ვაჟებ იყვა... **ვინაც** ნასალდათარ-ას, სრუ მიუდის (ხევს.) (გაბუერი 1923-1924: 9, 29); **ვინც** მაზე დაქორწილდება, ერი დღის მეც ვერ ძლევს (გურ.) ღლონტი 1937: 30)... დამატებითი: დაითხოვა **ვინც** იქ იქნებოდნენ (კახ.); **ვინც** ვაჟკაცი ხართ, იმას მოვკლავ (ქვემოიმერ.) (მიდიგური 1970: 72). **ვინაც** მე შამამაგდ ამ ჯვარის კარში, იმას მიზდიე (ხევ.: გაბუერი 1923-1924: 10)... განსაზღვრებითი: ქე დეინახა იი ხუცესი, **ვინცხამ** მისი ხარები იყიდა (გურ.) (ღლონტი 1937: 1); გამოუჭიმა თვალები იმ მონადირემ, **ვინცხამ** ქამარი შამუაძრო (ქვემოიმერ.) (მიდიგური 1970: 83)...

შიდაქართლურში ერთმანეთის პარალელურად იხმარება **ვინც** და **ვინცა** ფორმები. მაგ.: ქვემდებარული: იმის წამალი ის იყვეს, **ვინც** პირის ნაბანი მოუტანოს (გიგინეიშვილი... 1961: 280); **ვინც** სწრაფად, უხეიროდ აკეთებს, უცბათ მიაშაბათებს საქმესა, ფაცუცა ის არი (კავთ.) (ბეროზაშვილი... 1981: 405); **ვინც** სუქანია და დიდი მუცელი აქ, ღენდერა ის არი (ერედ.) (იქვე: 428); **ვინც** წააწყდება მასში წყალში ერთათ შექუჩებულ თევზსა, იტყვის, თხრელი დგას აქაო (წვ.) (მესხიშვილი 2006: 89); მეკვლეც ის ხდებოდა, **ვინცა** პირველი დაიძახებდა (კეხვი). დამატებითი: **ვინც** ძალიან ღარიბია, იმაზე იტყვიან იოხსულიაო (ქვ. ჭ.) (ბეროზაშვილი... 1981: 232); **ვინც** ფლანგავს, ანიავეს (ქონებას...) (სუბუქი ადამიანი რო არი, იმად ეტყვიან, აბუქა ხარო (მესხიშვილი 2006: 10); **ვინცა** სადამოს მოუყრის წიწილებსა თავსა, იმაზე იტყვიან, დააბუდაო (წვერი). განსაზღვრებითი: ყველაფერ ამზავს მოუყვება, **ვინც** რა დააბარა (გიგინეიშვილი... 1961: 284); სუფრასთან **ვინცა** მიმიწვევს, იმის მაყარი ვიქნები (ახალშენი).

ზოგჯერ **ვინც** წევრ-კავშირის ნაცვლად გამოიყენება **რომელიც**. მაგ.: ზარმაცი **რომელიც** არი, ადგილზე განძრევა ეზარება იმასა და საქმი გაკეთებად, ის არი სოდომი (მესხიშვილი 2006: 134). შდრ.: ზარმაცი **ვინც** არი, ადგილზე განძრევა ეზარება იმასა და საქმი გაკეთებად, ის არი სოდომი.

ვინც // **ვინცა** წევრ-კავშირთან იხმარება **რომ** // **რომა** // **რო** მაქვემდებარებელი კავშირიც. ქვემდებარული: **ვინც** **რო** გაიგებდა იმი სახელს, შიშითა კანკალებდა (ქს.ხ) (სომხიშვილი 1999: 178); **ვინცა** **რომ** ამოაკუწუწუებდა თავი შვილეფსა, ის არი დაწყევლილი (ქვემო ჭალა); **ვინც** **რომა** ადრე გამოვიდა სოფლიდანა, იმან უფრო იხეირა (ავნევი); დამატებითი: **ვინც** **რომ** მოვიდეს, კარები არ გაულო (დვანი). განსაზღვრებითი: ამოტურტვლა არი ღორის, ბავშვის, მთვრალი კაცის, **ვინც** **რო** ტალახში ჩაწვება (ტახტისძირი).

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში დადასტურებულია **რაც** // **რაცა** მიმართებითი ნაცვალსახელის გამოყენების შემთხვევები ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი და ვითარებით-შედარებითი წევრ-კავშირების ფუნქციით.

უნაწილაკო **რა** იშვიათია ძველ ქართულში, უფრო ხშირად გამოიყენებოდა მიცემითი ბრუნვისფორმიანი (**რასა**) და ნაწილაკდართული (**რამ-იგი, რამ-ესე, რამცა**), საშუალო ქართულში ჩვეულებრივია „რაც(ა)“, ხოლო ახალ სალიტერატურო ქართულში დადასტურებულია ისეთი მაგალითები, სადაც **-ცა** ნაწილაკში მოკვეცილია **ა**: ყველა ვერ შეძლებს იმას, **რაც** მე მოულოდნელმა უცაბედმა შემთხვევამ შემადლებინა (ვაჟა 128); მხოლოდ ის იცოდა, **რაც** დედამისს ესწავლებინა (აკაკი 400)... (მიძიგური 1969: 209-211).

რაც იხმარება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში. მთის კილოებში **-ც** ნაწილაკი ერთვის **რა**-ს სახელობითი ბრუნვის **ი**-ს ჩამოუცვლელად: **რაიც** (ხევს.) (გაბუერი 1923-1924: 20, 21); **რაციცაღ** (თუშ.) (მიძიგური 1970: 74). ინგილოურში **ი** დასუსტებულია: **რამც** (ჯანაშვილი 1913: 7, 9; მიძიგური 1970: 74).

შიდაქართურში იხმარება **რაც** // **რაცა** პარალელური ფორმები. მაგ.: რო გააცხავებენ, **რაც** დარჩება, ანაცხავი არი (მეგ.) (ბეროზაშვილი... 1981: 36); **რასაც** შოულობს, აქლიავებს, ასე გონია, მუდამ მექნებაო (მეგ.) (იქვე: 43); ნაბარკლევები **რაც** არი მატყლი, ტარტლია (იქვე: 387)... დამატებითი: ის, **რაც** შენი თვალით არნახო და **რაც** შენი ყურით არ გაიგონო, არ დაიჯერო (გიგინეიშვილი... 1961: 294); წახვალ, წამოხვალ და მიაბეჭეფ, **რაც** არა ღირს, თითქო ქვეყნის შემძლებელი იყვე (მერ.) (ბეროზაშვილი... 1981: 280); სასმელი რო აქ და სუ დაღევს და გაათავეფს, იტყვიან მოგუდა უკვე, **რაცა** ძქონდაო (ქვ. ჭ.) (იქვე: 297); **რაცა** მქონდა ჯიბეში, შენ ამოგიჩივია და მე რაღაი (კარალ.) (იქვე: 34); ჭინახულზე, ხეხილზე, **რაც** კარქი ასხია, ყველაზე იტყვიან აღელვებულიაო (წვ.) (იქვე: 44).

ქვემდებარულ და დამატებით დამოკიდებულ წინადადებაში გამოყენებულია დაწყვილებული წევრ-კავშირები: **რაც რომ** // **რაც რომა** // **რაც რო**. ქვემდებარული: **რაც რო** თავი მახსოვს, ამ სახში ის კაცი ცხოვრობდა (ქსნ.ხ.) (სომხიშვილი 1999: 178); **რაც რომა** მაქვს, ისიც შენია (ბრეთი). დამატებითი: **რაც რომ** რამე მეზადა, სულ იქ დავტოვეთ (ნული); **რაც რო** წამოვიღეთ, ისიც გზაში დავტოვეთ (არკნეთი); ჩემ რძალმა, **რაც რო** თეფშები, სერვიზები, ჩემი ნაქონები იყო გამოყარა, ახლები მოიტანა, აღარ არი მოდაშიო (დოესი).

მიმართებითი ნაცვალსახელი რომელიც მონაწილეობს ქვემდებარული, დამატებითი და განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებების კონსტრუქციაში. ამის შესაბამისად გამოიყოფა სუბიექტური (ქვემდებარული), ობიექტური (დამატებითი) და განსაზღვრებითი კავშირები. ძველ ქართულში ჩვეულებრივია უნაწილაკო ფორმები (**რომელი, რომელთა, რომელმან**), თუ დაირთავს ნაწილაკს, ისიც უმთავრესად **-ცა** ნაწილაკს (რომელიცა), მეტად იშვიათად – **იგი** ნაწილაკს (**რომელი-იგი**). საშუალო ქართულში ბატონდება ნაწილაკიანი მიმართებითი ნაცვალსახელი (**რომელთაცა, რომელსაცა...**), ხოლო ახალ ქართულში აბსოლუტურად გაბატონებულია **რომელიც** ფორმა (მიძიგური 1969: 170, 172, 173).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია: „რომ“ კავშირის ჩამოყალიბების ნიშნები თითქოს ძველ ქართულშივე გვაქვს იმ რიგის მაგალითებში, როგორცაა: „რად არს ესოდენი ესე მდულარებად სულისა

თქვენისაჲ, რომელ ესრეთ გაიძულა“ (ზარზმ. 162, 22-23) (მარტიროსოვი 1964: 286).

ფ. ერთელიშვილის მოსაზრებით, არაიშვიათად **რომელ** ნაცვალ-სახელის წრფელობითი ფორმა დამოკიდებული წინადადების წევრობის ფუნქციისაგან თავისუფალი ჩანს და კავშირად გვევლინება (აქვს მნიშვნელობა კავშირისა „რომ“) (ერთელიშვილი 1957: 324; ერთელიშვილი 1963: 20).

კ. დონდუა აღნიშნავს, რომ მერმინდელ საფეხურზე (განსაკუთრებით X-XI საუკუნეებში) ადამიანის აღმნიშვნელი მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციებს **რომელი**-ს პარალელურად ნაცვალსახელი **ვინ-ც** ასრულებს, ხოლო **რომელ – რომე – რომ** თანდათან ცვლის კავშირებს **ვითარმედ**-სა და **თუ**-ს (დონდუა 1967: 84-85).

ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების მონაცემთა ანალიზზე დაყრდნობით, ზ. სარჯველაძე აღნიშნავს, რომ **რომელ** ლექსემა **რომ** კავშირის ფუნქციით საკმაოდ ხშირად იხმარებოდა. **რომელ** ლექსემა **რომ** კავშირის ფუნქციით პირველად „სინურ მრავალთაჲში“ დასტურდება: იგი სამე წერილი იგი საქმესა შინა მოციქულისა, **რომელ** მოვიდა ჰინდოდ ერთი საჭურისი წიად მდინარეთა მათგან (158, 12-13). ადიშის ოთხთავის **რომელ**-ის საპირისპიროდ ჯრუჟ-პარხლის ოთხთავებში **რამეთუ** გვაქვს. ეს კი უდავოდ ამტკიცებს, ადიშის ოთხთავში **რომელ** ლექსემის **რომ** კავშირის ფუნქციით გამოყენებას. მრავალი ანალოგიური ფაქტი გვხვდება X-XI საუკუნეთა წერილობით ძეგლებში. ისტორიული დოკუმენტები ასახავენ **რომელ > რომე > რომ > რო** პროცესს. ეს პროცესი შედეგია ამ ხშირად ხმარებული მორფემის გაცვეთისა, რაც ადასტურებს იმას, რომ **რომელ** ლექსემა **რომ** კავშირის ფუნქციით იმ დროს ცოცხალ მეტყველებაში საკმაოდ იყო გავრცელებული (სარჯველაძე 1984: 572-574).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში **რომელიც** წევრ-კავშირი იხმარება სხვადასხვა ბრუნვის ფორმით (რომელიც, რომელმაც, რომელსაც...). ხევსურული დიალექტისათვის ნიშანდობლივია **რომენიც** (ძიმიგური 1970: 79); ინგილოურში **რემენიც // ჰემენიც** (ჯანაშვილი 1913: 8; იმნაიშვილი 1966: 38).

შიდაქართლურში ერთმანეთის პარალელურად იხმარება **რომელიც** და **რომელიცა**.

ქვემდებარული: **რომელიც** არ გაყვითლდება, ის სალი არი (გიგინეიშვილი... 1961: 289); **რომელიც** არ ვარგა, ის გასცვივა (იქვე: 289); **რომელსაც** დეედება ვალი, ის კიდევ მიუტანს (იქვე: 290). დამატებითი: **რომელიც** კარგი იქნება, სხვილი, სუფთა, პირველი ხარისხისაი, გადაარჩევ (იქვე: 280); **რომელიც** კაი საპოზი ატამი არი, კაი წიფეი, გახლეჩამენ შუაზედა, შიგ კაი დარჩეულ ნიგოზ ჩაუდებენ და გაახმოზენ მზეზედა, ნულლს ეძახიან მაგასა (ერთაწმ.) (ბეროზაშვილი... 1981: 342); **რომელიც** დიდი ყვავია, იმას ეტყვიან ფოხოლა ყვავსა (სადოლ.) (იქვე: 412); კაი მსხმოიარეს ეტყვიან იმასა, **რომელიცა** მესამე წელსა ნიშანს მოიბამს (ქვემო ჭალა).

განსაზღვრებითი: თურმე იმ ფულუროში ერთი კაციც ყოფილიყო, **რომელსაც** გლისა ეშინოდა (გიგინეიშვილი... 1961: 302); პირინაზან წყალს გადმოვაქცენ და გამოვაყოლეჲ ქალის ბეჭედს, **რომელიც** ძმან აჩუქაო

(დლონტი 1980: 226); **რომელიც** ცოტა გრძელია, მოხრილია, ის მეტიური ცულია, ამოსაცხვირია (მეგ.) (ბეროზაშვილი... 1981: 34); ქორდს აქვს ციხე-კოშკი, **რომელიცა**, მე მგონი, თარიღდება მე-17 საუკუნითა (ქორდი); სოფლის სახელი კი ერთ ბერსა უკავშირდება, **რომელსაცა** შურა ერქვა (ზერტი); ბერშოულას მახლობლად კიდევა ადგილი, **რომელსაცა** შეარქვეს „ღარის მიწები“ (ზერტი); ხოლო გარშემო უსხდნენ ცომისაგან გამომცხვარი „კაცები“, **რომელსაცა** ბასილა ერქვათ (ნული); სოფლის სამხრეთით არის ადგილი, **რომელიცა** ცოტა დაბალი ადგილია (ზერტი); იკვლებოდა მამალი ანგელოზების სახელზე, **რომელსაცა** ინახავდნენ ისეთ კარადაში... (კეხვი); შენ რომ იცი, ისეთი, ისეთი პური გამოაცხე ნომა, **როგორიცა** ბუნბუნი, **როგორიცა** ბანბა, ქარს რომ გაატანო, წაიღებს (ერედვი); **რომელიცა** ძან მაღალია, იმას ვეტყვით კაკლი ხალასა (ტახტისძირი).

დამოკიდებული წინადადებაში გამოყენებულია დაწყვილებული წევრ-კავშირები **რომელიც რომ // რომელიცა რომ // რომელიც რომა // რომელიც რო.**

ქვემდებარული: ის იყო კარქი მუშა, **რომელიცა რომ** ადრე ადგებოდა და მიხედავდა საქმესა (რუისი); დამატებითი: **რომელიც რომ** გამოჩნდება დღეს დღეისობით, საქონელს იმას გავატანთ (დირბი); **რომელიც რომა** კარგი ვაჟკაცი იყო, თვალი იმას დაადგეს (თამარაშენი); განსაზღვრებითი: ეს ვაჟი, **რომელიც რო** ირდება წლითა, აიზარდოს დღითა (გიგინეიშვილი... 1961: 280).

ქართულში განსაზღვრებითი წევრ-კავშირის დანიშნულება აქვს **როგორიც** მიმართებით ნაცვალსახელს. იგი შინაარსობრივად განსხვავდება **რომელიც** წევრ-კავშირისაგან: როგორობას გამოხატავს, მისამართი სიტყვის რაგვარობაზე მიუთითებს. მისამართ სიტყვას მსაზღვრელად ჩვეულებრივ მოუდის **ისეთი**. მაგ.: **როგორი** ხილიც მოვიდა, ფასიც **ისეთია** (რუისი); **ისეთი, როგორიცა** ეს კაცია, მაგნაირი არ შემხვედრია (ატენი).

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება დაწყვილებული წევრ-კავშირები; **როგორიც რომ // როგორიც რომა // როგორიც რო: როგორიც რო** მშობლებია, ისეთი შვილებიცა ყამთ (ქს.ხ.) (სომხიშვილი 1999: 178); დვარეცი წამოჭიმეს ისეთი, **როგორიც რომა** ციხე-კოშკი (ქვემო ჭალა); **როგორიც რომ** ავნევი ქონდა, ისეთი ბაღეულობა გააშენა (ავნევი).

განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში გამოიყენება მიმართებითი ნაცვალსახელი **რამდენიც // რამდენიცა**, როგორც ცალკე, ისე დაწყვილებული **რომ** კავშირთან. მაგ.: ხაშს აზიარებენ ხომე, მოზელამენ ცომსა, **რამდენიც** ხაშითვინ უნდათ (კავთ.) (ბეროზაშვილი... 1981: 514); თვალი ამარიდა, **რამდენიცა** თვალი შევასწარი (ფცა); **რამდენიც რომა** საბუდარში კვერცხი ნახა, იმდენი ლაყე იყო (სალოლაშენი); **რამდენიც რომ** ვუშაღე, იმდენი უარესი მიქნა (არადეთი); **რამდენიც რო** გამოისახა, იმდენი მოყინა, მოფშნიტა კვირტი და გააუბედურა ყველაფერი (დირბი).

სადაც მიმართებითი ზმნისართი ლოკალობის ფუნქციით გამოყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრ-კავშირია. ძველი სალიტერატურო ენის ადრინდელი ძეგლებიდან მოყოლებული დღემდის მკვიდრად ფეხმოკიდებულია. თავიდანვე გვხვდება როგორც უნაწილაკო,

ისე ნაწილაკიანი ფორმები: **სად(ა), სადა-იგი, სადაც(ა)**. ქართული ენის დიალექტებში იხმარება: **სადაც, საცა, საც, საცხა, სიდაცა, სიაც...** (ძიმიგური 1969: 55, 56, 57; ძიმიგური 1970: 85).

შიდაქართლურში დასტურდება: **სადაც // სადაცა // საცა, სადღაც // სადღაცა. სადაც**: როდესაც მიუახლოვდა ინ სახენწიფოს, **სადაც** მისი ძმა ცხოვრობდა, გაჩერდა ინ დედაბრის სახლთან (ღლონტი 1980: 226). **სადაცა**: ე ვერანა თრია იქ მიაკითხავს, **სადაცა** კარქი თხილი და კაკალი ასხია (ტახტისძირი); **სადაცა** თხუნელა გაივლის, ხე ვერ იხეირებს (დირბი); **საცა: საცა** გინდა ილაღუნე, საქმეს ნუ გააკეთებინებ ოლონცა (კარ.) (ბეროზაშვილი... 1981: 26); **საცა** შენი საქმე არ არი, ნუ იცი იქა უმწო ბლდაბლოდი (ტყვ.) (იქვე: 61); რბილი მიწა, **საცა** არი, იქ ითქორება, **საცა** ლამიანია, იქ ისევე წავა, თიხა მიწაც არ ითქორება (იქვე: 226); **საცა** უნდა ვიყო, ქინძის სუნი არ მომეხვეწება, მაინც მიეხვედები (კარალ.) (იქვე: 295); შუაში, **საცა** გამოთხრილია, საცა ცეცხლი ანთია, ნაქობარია (მეგ.) (იქვე: 335); ეს ამ დროული დედაკაცი, **საცა** არა მგონია, იჩეხება (კავთ.) (მესხიშვილი 2006: 92); წრეულ ადრე დაიჭირა კვირტი ამინდები, **საცაა** ყველაფერი გამაიფოთქება (კავთ.) (იქვე: 95).

სადღაც: სადღაც დიდი ჯირკვია, მანდა ამოსაულა კაკლი სოკოი (არადეთი); **სადღაცა**: არ ჩანს ჩვენი ძაღლი, დაიკარქა **სადღაცა** (დვანი).

გვხვდება დაწვევილებული წევრ-კავშირებიც: **სადაც რომ: სადაც რომ** პატარა კორდი დაინახა, გადახნა და დათესა (დირბი). **სადაც რომა: სადაც რომა** ვიწროა, იქ გაწყდეს, რა ვქნა ახლა (იგოეთი); **სადაც რომა: სადაც რომა** ვიწროა, იქ გაწყდეს, რა ვქნა ახლა (იგოეთი).

საცა რომ: საცა რომ გავიხედ-გამოვიხედე, ვერავინ დავინახე ჩემიანი, ავიტუზე და წამოვედი (დვანი). **საცა რომა: საცა რომა** კაი სერვიზები მქონდა, ამ ჩემ რძალსა აურიგ-ჩაურიგებია სულა (ახალქალაქი). **საცა რო: საცა რო** ფრონი პირი იყო, იქა კრეფავდა ნარიყსა (ტახტისძირი).

სადღაც რომ: სადღაც რომ მეგულება ხოლმე კაპიკები, მშვიდადა ვარ (ქვემო ხვითი). **სადღაც რომა: სადღაც რომა** იყო, გააქრო, შეჭამა, მოინარიკლა, მოტლაკუნდა ცარიელ-ტარიელი (რუისი); **სადღაც რო** ამოვა ბირკა ეკალი, გადარევა იცის იქა, ველარ გააწყობ (ტახტისძირი).

როდესაც დროის აღმნიშვნელი წევრ-კავშირი გვხვდება საშუალო ქართულსა და ახალ ქართულში. **როცა** დამახასიათებელია ახალი სალიტერატურო ქართულისათვის, როგორც ნორმა. იგი იხმარება **როდესაც** წევრ-კავშირის პარალელურად და იმავე ფუნქციით. ქართული ენის დიალექტებში დროულობის გამოსახატავად გვხვდება: **როდესაც, როცა, როიცა** (იმერ.), **როცხა** (ქვემოიმერ.) (ძიმიგური 1969: 74-75; ძიმიგური 1970: 298-299), **როიცხა** (გურ.) (ღლონტი 1937:18).

დროის გარემოებითი დამოკიდებულ წინადადებაში ერთმანეთის პარალელურად იხმარება **როდესაც // როდესაცა და როცა. როდესაც // როდესაცა: როდესაც** მიუახლოვდა ინ სახენწიფოს, სადაც მისი ძმა ცხოვრობდა, გაჩერდა ინ დედაბრის სახლთან (ღლონტი 1980: 226); **როდესაც** სახენწიფო კრებაზე ინ ქალის სურათი ჩამატარეს, ვაჭართა უფროსმა განაცხადა (იქვე: 227); შეაღო **როდესაცა** კარები, მაშინ გამოსრიალდა უხსენებელი (კეხიჯვარი).

როცა: **როცა** დრო ექნება, ადგება ეს დედაკაცი და წავა სხვაგან (გიგინეიშვილი... 1961: 280); **როცა** მტერი მოვიდოდა, ხალხი ციხეში შევიდოდა (იმნაიშვილი 1974ბ: 5); **როცა** ერთბაშათ მიუშვეფ და ჩაასხამ რამესა, მიქარახინავება იქნება (კავთ.) (ბეროზაშვილი... 1981: 282); **როცა** აღარ შეუძლია კაცსა, ქამანი აღარ აქვსო, იტყვიან (ქვ. ჭ.) (იქვე: 416); **როცა** ოჯახში გამოიღევა ან ლობიო, ან ხორბალი, ან სხვა რამე, რაც უნდა იყოს, იტყვიან, ქინძაც აღარ არიო, (კავთ.) (იქვე: 423); **როცა** გამძვრება, მოთამაშეები იცვლებიან (მეჯვრ.) (იქვე: 482); **როცა** ერთ ბავშვს უჭირავს ხილი, სხვები დაიძახებენ, ცორინე! (კავთ.) (იქვე: 484).

გვხვდება დაწყვილებული წევრ-კავშირებიც. **როდესაც რომ: როდესაცა რომ** ამოვისუნთქავ შვებითა, მაშინ გამოჩნდება ახალი, აღარ შემძლია რა (დირბი). **როდესაც რომა: როდესაც რომა** ხორბალს ჩავალბობთ წყალში, მერე ამოვიღებთ და თბილათ შევახვევთ (წითელუბანი). **როდესაც რო:** ეგრე არ უნდა, **როდესაც რო** დაანიავებ ლობიოსა, უნდა მოცხრილო მაშინა (ბრეთი).

როცა რომ: როცა რომ გამოჩდა, მაშინ უკვე აღარავის უნდოდა (არკნეთი). **როცა რომა: როცა რომა** გაქვს, გახვევია ყველა მაშინა (ტახტისძირი); **როცა რომა** მაქვს ვუგზავნი ყველასა; როცა არა მაქვს, მაშინა ვარ ჩემთვისა (დირბი). **როცა რო: როცა რო** კარქა გამაგრდება კირში კაკალი, მაშინ ჩაყრი შაბწყალში (ზერტი).

როგორც მიმართებითი ნაცვალსახელი გამოიყენება ვითარებით-შედგომით დამოკიდებულ წინადადებაში. ის იხმარება როგორც სალიტერატურო ენაში, ისე ქართული ენის დიალექტებში.

შიდაქართულში **როგორც//როგორცა** გვხვდება ერთმანეთის პარალელურად. **როგორც:** ნაორმალში, **როგორც** არ უნდა ამოავსო, მაინც იცის წყალმა ჩადგომა (ბეროზაშვილი... 1981: 332); **როგორც** მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო (ტახტისძირი); **როგორცა:** ეს ჩვენი ნაკვეთები ისე გადათელეს, **როგორცა** საბურთაო მოედანი (დირბი).

იხმარება დაწყვილებული წევრ-კავშირები: **როგორც რომ //როგორც რომა //როგორც რო.** მაგ.: ღოღოს შეჭამანდი ისე უნდა მოიხარშოს, **როგორც რომ** სხვა მხალს ვხარშავთ ხოლმე (წითელუბანი); ისე აჭიჭიკდა, **როგორც რო** დაქოქეს, მა რას იტყოდა (ზერტი); ისე გავიქეცი, **როგორც რომა** გიჟი, მარა გაუყიდა იმ კაცსაცა თაფლი (ახალქალაქი).

როგორც ზემოთ მოხმობილი საილუსტრაციო მაგალითებიდან ჩანს, შიდაქართულში საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს სხვადასხვა სახის დამოკიდებულ წინადადებაში (ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, გარემოებითი (ადგილის, დროის, ვითარების...)) მიმართებით ნაცვალსახელებთან (ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რამდენიც...) და მიმართებით ზმნისართებთან (სადაც, როგორც, როცა...) **რომ** კავშირის ხმარება.

ანალოგიური შემთხვევები უცხო არ არის ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა კილოებისთვისაც.

ამ მოვლენის აღმნიშვნელად შ. ძიმიგური იყენებს ტერმინს **გაორმაგებული კავშირი** და სათანადო საილუსტრაციო მაგალითებს იმოწმებს სალიტერატურო ენიდან და დიალექტებიდან (ლექსუმური, რაჭული, ქვემოიმერული...).

სალიტერატურო ენა: **სად(აც) + რომ**. მაგ.: ენატრი ელადსა, თვით მას გელათსა, **სად რომ** დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა (აბდულმესია 105, 4); ბახთა შიგან ვყმაწვილობდით, **სად რომ** გვედგა ტურფა სარა (არჩილიანი, 1)... (მიძიგური, 1969: 265).

ლექსუმური. ადგილის გარემოებითი: მიატანა, **სადაც რო** ის დები არიენ; **სადაც რო** იყო, ის ხეები მოაჭრევია. დროის გარემოებითი: **როცა რო** დეიწყებოდა ჩხუბი, გეიპარებოდა? **როცა რო** იმისანე უქმობა იყო, გამეეწყობოდა; **რა რომ** გათხოულვარ, შენისთანაც ბიჭი არ შემხვთერია. **რა დროსაც რო** ჯვარი უნდა დაეწეროს, უნა მორჩენილიყოს (მიძიგური 1970: 182, 183).

რაჭული. ადგილის გარემოებითი: მიატანა, **სადაც რო**, ის დები არიან; **სადაც რო** იყო, ხეები მოაჭრევია; დროის გარემოებითი: **რა რომ** გათხოულვარ, მას უკვანდელი არაფერი მახსოვს; **როცა რო** ღარიბად იყო, წახყვა. განსაზღვრებითი: ის უფროსი კი მოსულა, რომელმაც რომ უღალატა (მიძიგური 1970: 243-244).

ლ. კვაჭაძე აღნიშნავს, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ქვემდებარულისა და დამატებითის მთავართან შესაერთებლად ზოგჯერ მიმართებითი ნაცვალსახელი (ვინც, რაც) და მაქვემდებარებელი კავშირი **რომ** ერთდროულად არის გამოყენებული: ის მხდალია, **ვინც რომ** შიშით გაინაზა, დაიძინა (ევდ., 1145); ერთ ბებერ დედაკაცს კატომ სულ ერთიანად დაახოცინა, **რაც რომ** მამლები და ყვინჩილები ჰყვანდა (ლომ., 62) (კვაჭაძე 1988: 355).

გრ. იმნაიშვილი **როცა** ზმნისართთან და **რომელიც** მიმართებით ნაცვალსახელთან **რომ[ა]** კავშირის ხმარების შემთხვევებს განიხილავს სამხრეთ, ჩრდილო და შიდაქართლურში დადასტურებული მაგალითების საფუძველზე. მაგ.: მას ყვანდა ერთი მონადირე, **როცა რომ** ის მონადირე დაბერდა, არაჲ ყვანდა ამას შვილი (ქსნის ხეობა); მე მყამდა ბიძა, **რომელიც რო** ვაჭრობდა (ხელთუბ.); იმ ბერს ყამდა ორი ირემი, **რომელიც რო** თავისთავათ იწველებოდნენ (ქვ. აჩაბ.); **რომელიც რომა** წველავი საქონელი არი, იმას კარქა უნა მოუაროთ (სიონი)... (იმნაიშვილი 1974: 241). ვ. სომხიშვილი ქსნისა და ლიახვის ხეობებში დადასტურებულ „გაწვევილებული წევრ-კავშირების“ შემთხვევებს მიიჩნევს ქართლურის ერთ-ერთ თავისებურებად (სომხიშვილი 1999: 178).

შიდაქართლურში დაწვევილებული წევრ-კავშირების გამოყენებასთან დაკავშირებით საყურადღებოა: 1. დაწვევილებულ წევრ-კავშირებში **რომ // რომა // რო** კავშირს ხშირად **კი** ნაწილაკის ფუნქცია აქვს. მაგ.: **ვინც რო** შევიყვარე, იმან შემიდულა (რუისი). შდრ.: **ვინც რო** შევიყვარე, იმან შემიდულა; გავერანდა უპატრონობითა, **რაც რომა** გამოსვლისას ხელუხლებლათ დავტოვეთ (ავნევი). შდრ.: გავერანდა უპატრონობითა, **რაც კი** გამოსვლისას ხელუხლებლათ დავტოვეთ; **რამდენიც რომ** ჩაყარა ბადაგში ფქვილი, იმდენი აიჭრა (დვანი). შდრ.: **რამდენიც კი** ჩაყარა ბადაგში ფქვილი, იმდენი აიჭრა; **როცა რომა** ჩვენმა ოჯახმა ამოიწია, მაშინა მოგვიწია ტოლვილობაი (ნული). შდრ.: **როცა კი** ჩვენმა ოჯახმა ამოიწია, მაშინა მოგვიწია ტოლვილობაი; ხელმწიფესა ყავდა ისეთი ჭკვიანი ვაჟი, **რომელიც რომა** ყველას მოწონდა (ახრისი). შდრ.: ხელმწიფესა ყავდა ისეთი ჭკვიანი

ვაჟი, **რომელიც კი** ყველას მოწონდა; ისეთი ჭკვიანი იყო ი ხარი, **საითაც რო** მიუღებდი ცხვირსა, იქით წავიდოდა (ატენი). შდრ.: ისეთი ჭკვიანი იყო ი ხარი, **საითაც კი** მიუღებდი ცხვირსა, იქით წავიდოდა (ატენი).

2. ზოგჯერ რომელიც **რომ // რომელიც რომა // რომელიც რო** იხმარება მხოლოდ წინადადებების დასაკავშირებლად და არ გამოხატავს რომელიმე წევრის ფუნქციას. მაგ.: ამ დროს დახვდა იქა დღეობა, **რომელიც რო** არ იცოდა, იყო თუ არა იქა დღეობა (ხელთუბ.); შემეფეთათ იმათ ეფისკოპოზი, **რომელიც რო** ბედნიერი დღე იყო და ამ დღის უნდა ეწირა (ხიდისთავ.). ნაკლები საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ **რომელიც** წარმოვიდგინოთ ნაცვალსახელის როლში (იმნაიშვილი 1974ა: 241, 242).

ანალოგიური შემთხვევები გვხვდება ქართული ენის დასავლურ კილოებშიც. მაგ.: გურული: ამ დროს შეხთა ერ ღარიბ კაცს ხენწიფესთან წასვლა, **რომელსაც რომ** მან ეძნელება ხენწიფესთან წასვლა (ქლენტი 1936: 29). აჭარული: ანახვა იმ კაცს, **რომელიც რომ** ბეჭეტის პატრონი იყო (ხუბუა 1932: 31). ქვემოდიმრული: ჩვენ მხარეზეა ე მოხუცებული, **რომელიც რომ** ნეფე იყო (მიძიგური 1970: 84).

რომ(ა) კავშირს დასახებულ საილუსტრაციო მაგალითებში კი ნაწილად ფუნქცია არ აქვს. ის მხოლოდ აძლიერებს მთქმელის ემოციას და გამოიყენება აქტუალიზაციისათვის.

სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია აქტუალიზაციის ანუ ენის მეტყველებაში გადაყვანის სხვადასხვა საშუალებები: ინტონაცია, სიტყვათგანლაგება (პოზიცია), სპეციალური ლექსიკური ერთეულები ანუ ლექსიკური აქტუალიზატორები (კვანტალიანი 1990: 48, 109; ბურჭულაძე 1920: 3).

3. განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **რომელიც** არ უთანხმდება დამოკიდებული წინადადების შემასმენელს და გვევლინება სახელობითი ბრუნვის ფორმით (იმ ფორმით, რომელშიც დგას მისამართი სიტყვა). მაგ.: ღარიბი გლეხის შვილი ვიყავი, **რომელიც რო** მამაჩემი ძლივს მაცხოვრებდა; **რომელიც რო** ხან მოჯამაგირეთ, ხან ნახირში ყამდით (ხელთუბანი).

ამ მოვლენას კ. დონდუა სინტაქსურ ასიმილაციას ანუ ასტრაქციას უწოდებს. მისი აზრით, ესაა გარდამავალი საფეხური რთული ქვეწყობილი წინადადების კონსტრუქციის გამომუშავების გზაზე (დონდუა 1949: 330, 336).

ასეთი სახის დამოკიდებულ წინადადებაში შიდაქართულში ხშირად გვხვდება ან სხვა ნაცვალსახელი, ან არსებითი სახელი, რომელიც ბრუნვაში იქნება მართული დამოკიდებული წინადადების ზმნის მიერ და უზრუნველყოფს შინაარსის სიზუსტეს. ზოგჯერ მისამართი სიტყვა მეორდება დამოკიდებულ წინადადებაშიც. მაგ.: ნახა, რო ერში გახდილია კარქი მოჭიდავე, **რომელიც რო** იმას არავინ ეჭიდებოდა (ხელთუბანი); შეეხიზნა შვილი ერთ კაცს, **რომელიც რო** იმ კაცმა გაზარდა და დააცოლშვილა (ხურვალეთი) (იმნაიშვილი 1974ა: 241, 242).

ანალოგიური შემთხვევები განხილულია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (შანიძე 1948: 97; მარტიროსოვი... 1956: 98; აბესაძე 1965: 229-245; კვაჭაძე 1988: 343; ჯორბენაძე 1989: 311, 336; ჯორბენაძე 1995: 289, 290).

ამრიგად, გაანალიზებული საილუსტრაციო მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: შიდაქართული კილოკავი პიპოტაქსურ კონსტრუქციებში დაწვეილებული წევრ-კავშირების გამოყენებით გამოხატავს იმ საერთო ენობრივ ტენდენციებს, რომელიც დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენის, ქართული დიალექტისა და ქართული ენის სხვა კილოებისათვის. მიმართებით ნაცვალსახელებსა და მიმართებით ზმნისართებთან **რომ // რომა // რო** კავშირის დაწვეილება დღეს შორს წასული პროცესია გამოქვეყნებულ მასალებთან შედარებით. ხელშემწყობ ფაქტორებს წარმოადგენს მიგრაცია და ანალოგია. ეს მოვლენა შეიძლება ავხსნათ იმით, რომ **რომ** კავშირი გამოირჩევა პოლისემანტიკური ფუნქციით და გვხვდება თითქმის ყველა ტიპის დამოკიდებულ წინადადებაში. დაწვეილებული წევრ-კავშირების ხშირი გამოყენებით ხდება აქტუალიზაცია, მთქმელის აქცენტირება, ემოციური დამოკიდებულება მთავარი წინადადების იმ წევრის მიმართ, რომელსაც ხსნის დაწვეილებული წევრ-კავშირი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბესაძე 1965: აბესაძე ნ., ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები და კავშირები მეგრულში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 114. თბილისი, 1965.

ბეროზაშვილი... 1961: ბეროზაშვილი თ., მესხიშვილი მ., ნოზაძე ლ., ქართული დიალექტის ლექსიკონი (მასალები). თბილისი, 1961.

ბურჭულაძე 2020: ბურჭულაძე თ., აქტუალიზაციის ზოგი შემთხვევა ზეპირმეტყველებაში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადეული, გამოცემა I. თბილისი, 2020.

გაბუერი 1923-1924: გაბუერი ბ., ჯევისურული მასალები. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადეული, I-II. თბილისი, 1923-1924.

გიგინეიშვილი... 1961: გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, I. დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი. თბილისი, 1961.

დონდუა 1940: დონდუა კ., მისამართი ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ურთიერთობისათვის ძველ ქართულში. ენიშკის მოამბე, V-VI. თბილისი, 1940.

დონდუა 1967: დონდუა კ., დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში. რჩეული შრომები, ტ. I. თბილისი, 1967.

ერთელიშვილი 1957: ერთელიშვილი ფ., მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადებათა ქვეწყობა ძველ ქართულში. თსუ-ს შრომათა კრებული, 65. თბილისი, 1957.

ერთელიშვილი 1963: ერთელიშვილი ფ., რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I. ჰიპოტაქსის საკითხები. თბილისი, 1963.

იმნაიშვილი 1966: იმნაიშვილი გ., ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი. თბილისი, 1966.

იმნაიშვილი 1974ა: იმნაიშვილი გ., ქართული დიალექტი, I. თბილისი, 1974.

იმნაიშვილი 1974ბ: იმნაიშვილი გ., ქართლური დიალექტი, II. თბილისი, 1974.

კობერიძე 2011: კობერიძე მ., რთული ქვეწყობილი წინადადების ზოგიერთი თავისებურებისათვის ფრონეს ხეობის ქართლურში. ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. III. თბილისი, 2011.

კვანტალიანი 1990: კვანტალიანი ლ., ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები. თბილისი, 1990.

კვაჭაძე 1988: კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1988.

მარტიროსოვი... 1956: მარტიროსოვი ა., იმნაიშვილი გ., ქართული ენის კახური დიალექტი. თბილისი, 1956.

მარტიროსოვი 1964: მარტიროსოვი ა., ნაცვალსახელი ქართველურ ენებში. თბილისი, 1964.

მესხიშვილი 2006: მესხიშვილი მ., ქართლური ლექსიკონი (მასალები). თბილისი, 2006.

ჟღენტი 1936: ჟღენტი ს., გურული კილო (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი, 1936.

სარჯველაძე 1984: სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი, 1984.

სომხიშვილი 1999: სომხიშვილი ვ., ზოგიერთი კავშირისა და ნაწილაკის ხმარების თავისებურებისათვის ლიახვისა და ქსნის ხეობათა ქართლურში. საენათმეცნიერო მიეზანი, IX. თბილისი, 1999.

ღლონტი 1937: ღლონტი ა., გურული ფოლკლორი, ტექსტები [ლექსიკონითურთ], ნაწილის I. თბილისი, 1937.

ღლონტი 1980: ღლონტი ა., ფილოლოგიის ჩანაწერები. თბილისი, 1980.

შანიძე 1948: შანიძე მ., „რომელი“ ნაცვალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის ძველ ქართულში. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი III, თბილისი, 1948.

ბიძიგური 1969: ბიძიგური შ., კავშირები ქართულ ენაში. თბილისი, 1969.

ბიძიგური 1970: ბიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური მიეზანი, თბილისი, 1970.

ხუბუა 1932: ხუბუა მ. ზემოაჭარის ენობრივი მიმოხილვა. ბათუმი, 1932.

ჯანაშვილი 1913: ჯანაშვილი მ., საინგილო, ძველი საქართველო, II, განყ. IV. თბილისი, 1913.

ჯორბენაძე 1989: ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია, I. თბილისი, 1989.

ჯორბენაძე 1995: ჯორბენაძე ბ., ქართველურ ენათა დიალექტები. თბილისი, 1995.